საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის № 141/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ფ. ბ.-ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ფ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ფ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 31 მაისს მიმართა ქ. ფოთის საქალაქო სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა განქორწინება და ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა. სასამართლომ 2017 წლის 18 ოქტომბერს მიიღო სარჩელი წარმოებაში და სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნა ადვოკატი ფ. ბ.. ფ. ბ.-მ დაიწყო მისი საქმის წარმოება. პროცესებზე ადვოკატი წარმოადგენდა საჩივრის ავტორს, თავად ა. დ.-ს არ სურდა სხდომებზე დასწრება.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ ჩაბარდა 2018 წლის 10 სექტემბერს. საჩივრის ავტორმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება, თუმცა გასაჩივრების ვადის გაშვების გამო, სასამართლოსაგან უარი მიიღო. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება ა. დ.-ს ადვოკატს - ფ. ბ.-ს ჩააბარა 2018 წლის 02 ივლისს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატს მისთვის ამის შესახებ არ უცნობებია და ისიც არ უთქვამს, რომ გასაჩივრებისათვის 20 დღე ჰქონდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის უმოქმედობის შედეგად მიადგა ზიანი, ვეღარ შეძლო თავის საქმეზე დავის გაგრძელება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ფ. ბ.-ს განმარტებით, მას ა. დ.-ს საქმე დაეწერა იურიდიული დახმარების ფოთის ბიუროდან. იგი საქმეში ჩაერთო 2017 წლის 30 ოქტომბერს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2018 წლის 19 აპრილს. ადვოკატის განმარტებით, მან იცოდა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დრო, თუმცა გამოცხადებას არ ესწრებოდა, რადგან ამის უფლებას კანონმდებლობა აძლევს. სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მეორე დღეს, მან მოსამართლის თანაშემწისაგან შეიტყო საქმის შედეგი.

2.3 2018 წლის 31 მაისს ა. დ.-ს შეხვდა ციხეში და შეატყობინა, რომ სასამართლომ ნაწილობრივ დაუკმაყოფილა სარჩელი. ადვოკატმა ა. დ.-ს შეახსენა, რომ გასაჩივრების უფლება ჰქონდა, მაგრამ ა. დ.-ს ამის სურვილი არ გამოუთქვამს. ადვოკატს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30 დღეში არ ჩაბარდა გადაწყვეტილება, მან დაწერა განცხადება და მოითხოვა გადაწყვეტილების ჩაბარება. მისი განმარტებით, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყებოდა მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან. 2018 წლის 31 მაისს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნისას ადვოკატმა განუმარტა ა. დ.-ს, რომ საადვოკატო მომსახურებას ვეღარ გაუწევდა, რადგან მას მომსახურების უფლება ჰქონდა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

2.4 განხილვის კოლეგიის სხდომაზე, 2019 წლის 15 ივლისს ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ 31 მაისამდე, სანამ ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეხვდებოდა კლიენტს, მას ესაუბრა ტელეფონით და გააცნო გადაწყვეტილების შინაარსი, რომელიც მისთვის ცნობილი იყო მოსამართლის თანაშემწისაგან. ადვოკატის განმარტებით, მის კლიენტს გადაწყვეტილების გასაჩივრების სურვილი არ ჰქონია.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მას ფორმალურად, გადაწყვეტილების ჩაბარებამდე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ გაუსაჩივრებია, რადგან კლიენტმა განუმარტა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ სურდა.

2.6 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მას კლიენტისათვის გადაწყვეტილება არ გადაუცია, რადგან იმედოვნებდა, რომ მას გადაწყვტილებას გაუგზავნიდა თავად სასამართლო, რადგან ა. დ. იყო მსჯავრდებული.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2018 წლის 12 თებერვალს, მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ფ. ბ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ფ. ბ.-მ დროულად არ მიაწოდა ინფორმაცია თავის კლიენტს იმის შესახებ, რომ მას სხვა ინსტანციებში ვეღარ წარმოადგენდა, რის გამოც ა. დ.-მ გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს აპეკ-ის 8.6 მუხლი, რაც დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველია.

3.3 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიერ არაკეთილსინდისიერი მომსახურების, მორიგების აქტში მისი ნების საწინააღმდეგო პირობების შესახებ და ადვოკატ ფ. ბ.-ს მიერ აპეკ-ის 8.5 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1.1 ადვოკატი ფ. ბ. მსჯავრდებულ ა. დ.-ს საქმეში დაინიშნა იურიდიული სამსახურის მიერ, საოჯახო დავაში და ის ა. დ.-ს მომსახურებას უწევდა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინება ადვოკატის დანიშვნის შესახებ საქმეზე NX/XXX-2017;

ადვოკატ ფ. ბ.-ს 2017 წლის 30 ოქტომბრის ორდერი N10;

განხილვის კოლეგიის 2019 წლის 15 ივლისის სხდომის ოქმი.

4.1.2 ადვოკატმა ფ. ბ.-მ ფოთის საქალაქო სასამართლოს მიმართა 2018 წლის 01 მაისს განცხადებით, სადაც მოთხოვნას წარმოადგენდა მისთვის გადაწყვეტილების გადაცემა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ ფ. ბ.-ს 2018 წლის 01 მაისის განცხადება

4.1.3 ადვოკატმა ფ. ბ.-მ კლიენტს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის ინტერესებს ვეღარ წარმოადგენდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მიაწოდა 2018 წლის 31 მაისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2018 წლის 31 მაისის მოთხოვნა გამოძახებაზე;

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2018 წლის 18 დეკემბრის წერილი ა. დ.-ს ადვოკატ ფ. ბ.-ს მიერ მასთან განხორციელებული შეხვედრების შესახებ.

4.1.4 ადვოკატს ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე NX/XXX-217 (მოსარჩელე ა. დ., მოპასუხე თ. დ.) ჩაბარდა 2018 წლის 02 ივლისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 სექტემბრის მიმართვა ა. დ.-ს

4.1.5 ა. დ.-მ გადაწყვეტილება მიიღო უშუალოდ ფოთის საქალაქო სასამართლოსაგან 2018 წლის 10 სექტემბერს, თავისივე მოთხოვნის შედეგად.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 სექტემბრის მიმართვა ა. დ.-ს

4.1.6 ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 05 დეკემბერს ა. დ.-ს სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქმეზე N2/ბ-1249-2018 (აპელანტი ა. დ., მოწინააღმდეგე მხარე თ. დ.)

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ფ. ბ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ფ. ბ.-ს მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება:

6.1.1 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს მისი საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

6.1.2 ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.6).

6.2 კლიენტის ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულება უმნიშვნელოვანესია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში, რადგან ინფორმირებით კლიენტს ეძლევა შესაძლებლობა სრულყოფილად ჩაერთოს თავისი საქმის განხილვის პროცესში და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ადვოკატმა, კლიენტთან ურითიერთობის დაწყების ეტაპიდანვე უნდა განსაზღვროს კომუნიკაციის რა ფორმას გამოიყენებს კლიენტთან და მიაწოდოს ამის შესახებ ინფორმაცია კლიენტს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიენტის ინფორმირება ისეთ საკითხებზე, რომელიც არსებითად უკავშირდება კლიენტის საქმის შედეგს. ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შესრულება

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კლიენტის ინტერესების დასაცავად, არამედ, ასევე ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გასაღრმავებლად. ამასთან, კომისია განმარტავს, რომ მიუხედავად ზოგადი დანაწესისა, რომ მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი ადვოკატზე გადმოდის.

6.3 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N074/10).

6.4 „ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებება“ (საქართველოს ადვოკათტა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება, საქმე 092/11).

6.5 „ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ ცნობების მიწოდებას საქმის თაობაზე, არამედ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულებასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N074/11).

6.6 „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიენტის დროული ინფორმირება იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივი მოქმედების განხორციელება შეზღუდულია კონკრეტული ვადით და არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ კლიენტი ვეღარ მოახდენს საკუთარი უფლების რეალიზაციას“ (საქართველოს ადვოკათტა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N027/11).

6.7 განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N2/XXX-217 (მოსარჩელე ა. დ., მოპასუხე თ. დ.) ადვოკატ ფ. ბ.-ს ჩაბარდა 2018 წლის 02 ივლისს. მას აღნიშნული გადაწყვეტილება კლიენტისათვის არ ჩაუბარებია. სასამართლომ გადაწყვეტილების გასაჩივრების 14 დღიანი ვადის თვლა დაიწყო ადვოკატის მიერ კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების ჩარების შემდეგ, 2018 წლის 03 ივლისიდან და ამოიწურა 2018 წლის 16 ივლისს (2018 წლის 05 დეკემბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, გვ.7).

6.8 ა. დ.-მ გადაწყვეტილება მიიღო უშუალოდ ფოთის საქალაქო სასამართლოსაგან 2018 წლის 10 სექტემბერს, თავისივე მოთხოვნის შედეგად. მან სააპელაციო საჩივარი სასამართლოს ჩააბარა 2018 წლის 08 ოქტომბერს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 05 დეკემბერს ა. დ.-ს სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

6.9 იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ კლიენტს არ სურდა გადაწყვეტილების გასაჩივრება ეკისრება ადვოკატს. მართალია ადვოკატი ფ. ბ. 2018 წლის 31 მაისიდან აღარ უწევდა იურიდიულ მომსახურებას საჩივრის ავტორს, თუმცა ამავე წლის 2 ივლისს მან ჩაიბარა ა. დ.-ს საქმეზე გადაწყვეტილება, რა ეტაპიდანაც მას წარმოეშვა სულ მცირე კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ადვოკატს ან (1) არ უნდა ჩაებარებინა გადაწყვეტილება და განემარტა სასამართლოსათვის, რომ ის აღარ წარმოადგენდა საჩივრის ავტორის ინტერესებს და გადაწყვეტილება პირდაპირ მხარისთვის გაეგზავნათ; ან (2) უმოკლეს ვადებში უნდა ეცნობებინა ამის შესახებ მისი ყოფილი კლიენტისათვის და განემარტა გასაჩივრების ვადები და პროცედურები.

6.10 კოლეგის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ ფ. ბ.-ს არ ჰქონდა ვალდებულება გაეგრძელებინა ა. დ.-ს საქმის წარმოება სააპელაციო წესით, მას კლიენტის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, უნდა ჩაებარებინა კლიენტისათვის, რათა საჩივრის ავტორი ყოფილიყო ინფორმირებული და მას ჰქონოდა გონივრული ვადა უფლებების დასაცავად მიემართა სხვა ადვოკატისათვის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.7).

6.11 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ფ. ბ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6), რის გამოც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6.12 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

6.13 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.14 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.15 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.16 ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, ზიანს, ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

6.17 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

6.18 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N141/18 ადვოკატ ფ. ბ.-ს მიმართ /სიითი N/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/